პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 244 (10941)
სამშაბათი
15
ოქტომბერი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ДИДЕБА ДИД ОКТОМБЕРС

„პრავდის" 14 ოქტომბრის მოწოდებაზე

მთელ მსოფლიოში ყველა ხალხის ენაზე გაისმის გუშინ გამოქვეყნებული მოწოდებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისთვის. ამ მოწოდებათა მგზნებარე სიტყვები მხურვალე გამოხმაურებას პოულობენ მილიონობით ადამიანის გულში. საბჭოთა ადამიანები, ყველა ქვეყნის მშრომელნი აღფრთოვანებით იმეორებენ მოწოდებებს, რომლებიც მიესალმებიან და დიდებას ასხამენ სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს:

— გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!

— დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა!

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვლილ დროში საბჭოთა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ისტორიული გზა განვლო. 1917 წლის 25 ოქტომბრის — 7 ნოემბრის ღირსშესანიშნავ დღეს კომუნისტური პარტიის დიდი დამსახურებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა:

„მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა.

... ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება".

ახლა ყველა ხედავს, რომ ასრულდა რევოლუციის გენიალური ბელადის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები. ახორციელებს რა სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობის ლენინურ გეგმას, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახე უცვალა მშობლიურ ქვეყანას, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადააქცია იგი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც ახლა მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში დგას.

საბჭოთა ხალხმა ისტორიაში პირველად განახორციელა კაცობრიობის ნანუკვარი ოცნება ისეთი საზოგადოების აშენების შესახებ, რომელშიც არ არის ბატონებად და მონებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად, მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა, რომელშიც ყველა რასისა და ერის ადამიანები თანასწორნი არიან და ცხოვრობენ ერთსულოვან ძმურ ოჯახად, სადაც შრომის ადამიანები თავიანთი ბედის სრული ბატონ-პატრონები არიან.

აიღეს რა ხელთ ძალაუფლება, მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ გამოიჩინეს უმაგალითო გმირობა ახალი ცხოვრების მშენებლობასა და დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში, უმოკლეს ვადაში დაძლიეს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, შექმნეს მძლავრი თანამედროვე ინდუსტრია, მსოფლიოში უველაზე მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოახდინეს უდიდესი კულტურული რევოლუცია და უზრუნველყვეს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მოწინავე მრავალეროვან საბჭოთა სოციალისტური კულტურის აყვავება.

მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავისუფალი შემოქმედებითი შრომის დიად შემოქმედებთს ძალაზე მჭეგრმეტყველურად ლაპარაკობენ ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის წარმატებანი. საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 33-ჯერ. ძირეულად გარდაიქმნა ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელიც აღჭურვილია მძლავრი ტექნიკით და აწარმოებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაცილებით მეტ პროდუქტებს. 1956 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 19-ჯერ და მეტად 1913 წელთან შედარებით, წლითიწლობით იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, მშრომელ გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი, განუხრელად მაღლდება ხალხის კეთილდღეობის დონე. ეს ისტორიული გამარჯვებანი მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ გენერალურ ხაზს, მთელ თავის მრავალფეროვან საქმიანობას აშენებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

საბჭოთა ადამიანები, თვალს ავლებენ რა 40 წლის მანძილზე განვლილ გზას, ჩვენი დიადი სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით, კომუნისტური პარტიისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით აცხადებენ:

— სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში ოქტომბრის რევოლუციის მთავარი შედეგია. დიდება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლებს!

— დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიდ შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

— მარქსიზმ-ლენინიზმი ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი დროშაა. უფრო მაღლა ავწიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა!

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მთელი სისრულით აჩინა თავი ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდმა სასიცოცხლო ძალამ. მახეების რევოლუციური შემოქმედებით შობილი მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებია. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის მილიონნახევარზე მეტი დეპუტატი. საბჭოთა საზოგადოებაში განუხრელად ვითარდება სოციალისტური დემოკრატია — დემოკრატია მშრომელთათვის, მთელი ხალხისათვის. სოციალიზმის მშენებლობაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ, ლენინური კომკავშირი — კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და რეზერვი, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმი. ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ქალები, მიანიჭა მათ თანასწორი უფლებები, ჩაება მილიონობით მშრომელი ქალი ახალი ცხოვრების ისტორიულ შემოქმედებაში. დიდი ოქტომბრის წინ კომუნისტური პარტია მიესალმება პროფკავშირებს, ლენინურ კომკავშირს, საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სსრ კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილმა მშენებლობამ უდიდესი გავლენა მოახდინეს მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე. ახლა საბჭოთა კავშირთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის გზით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მიდიან ევროპისა და აზიის 12 ქვეყნის ხალხები.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევა თანამედროვე ეპოქის მთავარი ნიშანია, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში. — გაუმარჯოს და განმტკიცდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიადი თანამეგობრობა!

დიდი ოქტომბრის წინ საბჭოთა ხალხი ძმურ სალამს უთვლის დიდ ჩინელ ხალხს — სოციალიზმის მშენებელს. გაუმარჯოს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრ ბურჯს!

საბჭოთა ხალხი ძმური სალამის სიტყვებით მიმართავს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა იმარჯვებდა და იმარჯვებს ერთგულებით მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, დიადი რევოლუციური დევიზისადმი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო სოლიდარობა სოციალიზმის საქმის უძლეველობის საწინდარია, ბაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში. უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ავანგარდს, მათს ძმურ თანამშრომლობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია ბრძოლა ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებას, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. ამ დღეებში, ემზადება რა დიდი ოქტომბრის წლისთავისათვის, საბჭოთა ხალხი ძმურ სალამს უთვლის ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის. ომი შეიძლება აცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ. ყველა ქვეყნის მშრომელნი მოწოდებული არიან გააძლიერონ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და აკრძალვისათვის. მსოფლიოს ხალხებო, ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში, ამხილეთ ომის გამჩაღებლები! დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობა, დაე ფართოვდებოდეს თანამშრომლობა კომუნისტებსა, სოციალისტებსა და მთელ პროგრესულ ძალებს შორის მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანები ძმური სალამის სიტყვებს უთვლიან დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა! საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, კამბოჯის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის ხაწინდარია ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა. მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის საჭიროა განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და იტალიის, ფინეთის, შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის, ავსტრიის, იაპონიის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა.

მთელი მოწინავე კაცობრიობა უდიდესი ყურადღებით აღევნებს თვალს არაბთა აღმოსავლეთის ხალხების ბრძოლას თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა ადამიანები ღრმად თანაუგრძნობენ ამ ბრძოლას იმპერიალისტთა ახალი კოლონიზატორული გეგმების წინააღმდეგ, არაბთა ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. ისინი მხურვალე სალამს უძღვნიან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების სადარაჯოზე დგანან გამარჯვებათა დიდებით მოსილი სახელოვანი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს მათ მომავალ დიად დღესასწაულს.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს საბჭოთა კავშირი აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, რაც საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს წარმოადგენენ, უზრუნველყოფენ ჩვენს წარმატებით წინსვლას კომუნიზმის გზით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობის ორგანიზაციის, სამეურნეო მშენებლობის მართვის გარდაქმნისა და სრულყოფის შესახებ დიდი დადებითი შედეგები მოიტანა. სულ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია. მკვეთრი აღმავლობის გზით მიდის სოფლის მეურნეობა, ფართო მასშტაბით წარმოებს საბინაო მშენებლობა, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

—მუშებო, კოლმეურნეებო, ინტელიგენციავ! დავრაზმოთ მთელი ძალები ჩვენი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენების დიდი საქმისათვის!

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! დავიწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთსულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ოსტატებსა და მოსამსახურეებს მოწოდებით კიდევ უფრო ფართოდ დანერგონ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, იბრძოლონ ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს. 86 მილიონი ჰექტარი უამრი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოება. ამფამად პარტიის მოწოდებით ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისათვის — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

— კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბამბა, მატყელი, სელი, ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით. სახალხო განათლების ფართო გაქანებამ, ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებამ, კომუნისტური პარტიის ყოველდღიურმა ზრუნვამ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და აყვავებისათვის საბჭოთა მეცნიერება გამოიყვანეს მსოფლიოში პირველ ადგილზე. ამას მკაფიოდ მოწმობენ ისეთი შესანიშნავი წარმატებანი, როგორიც არის მძლავრი საკონტინენტთაშორისო რაკეტი და მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

— მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება ახალ ერას ქმნის მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს კაცობრიობის გაბედული ოცნება!

გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას — სოციალიზმის პირმშოს!

გრანდიოზულია გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე. დიდი და შთამაგონებელი გეგმები მომავლისათვის შეიმუშავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. კომუნისტური მშენებლობის ამ გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო. მთელმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიის ერთიანობისათვის, წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის განხორციელებას.

თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით გამსჭვალული, კომუნიზმის დიდი საქმის გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული საბჭოთა ხალხი ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობაა სოციალისტური წყობილების ძალის წყარო, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარი! გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე სიმაგრეს. მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევ ბურჯს!

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

— გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს

სურათზე: თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის № 1 მექანიკურ-საამწყობო საამქროში აგიტატორი ი. ხატისოვა მუშებს აცნობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად!

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდესი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

გუშინ შესვენების დროს № 1 მექანიკურ-საამწყობო საამქროში აგიტატორმა ი. ხატისოვამ მუშებს გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი. საუბრის დამთავრების შემდეგ მოწინავე მუშამ ვ. ყამკოჩიანმა განაცხადა:

— ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. ამ ისტორიული თარიღით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა. დიად დღესასწაულს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი სიხარულით ხვდება ჩვენი ქარხნის კოლექტივი. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ჩვენი ქარხნის ყველა მშრომელი. ამ დღეებში საწარმოს კოლექტივმა მოიპოვა დიდი გამარჯვება — გამოუშვა ჩაის საკრეფი პირველი მანქანა.

მშობლიური პარტიის მოწოდების საპასუხოდ ქარხნის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. პირადად მე ვკისრულობ ორმაგად შეგასრულო ყოველდღიური ნორმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მჭედელი ვ. კორძაძე, მოწინავე ხარატები მ. აკოპოვი, მ. კოვალიოვი, მრანდავი ს. ძუკაევი, ზეინკალი ნ. ნიკიფოროვი და სხვები.

გავაღიდებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას

თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეები, მექანიზატორები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს.

სასოფლო კლუბის ბიბლიოთეკის გამგემ, აგიტატორმა ნ. აბუაშვილმა მემინდვრეებსა და მეცხოველეებს გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები.

მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ვ. ბერიძემ, რომელიც დიდი ინტერესით გაეცნო პარტიის საოქტომბრო მოწოდებებს, თქვა:

— საოქტომბრო მოწოდებანი მიმართულია მშვიდობის ბურჯის — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. პარტია მოგვიწოდებს მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყელი, ბოსტნეული, ხილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ჩვენ, გლდანელი კოლმეურნეები, პირობას ვაძლევთ მშობლიურ პარტიას, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ამ საბრძოლო ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებში აგიტატორები მშრომელებს ფართოდ აცნობენ პარტიის საოქტომბრო მოწოდებებს, რაზმავენ და აღფრთოვანებენ მათ იმისათვის საბრძოლველად, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა და მატარებელმა რაკეტმა 14 ოქტომბრის დილის 6 საათისათვის თითქმის 138-ჯერ შემოუარეს დედამიწას. ხელოვნურმა თანამგზავრმა ამ დროისათვის გაიარა 6 მილიონი კილომეტრი.

თანამგზავრისა და მატარებელი რაკეტის მოძრაობაზე კვლავ წარმატებით წარმოებს მასობრივი დაკვირვება. სულ უფრო მეტი ინფორმაცია მოდის ასტრონომიული და რადიოტექნიკური პუნქტებიდან. განზომილებანი საშუალებას გვაძლევენ განუწყვეტლივ დავაზუსტოთ თანამგზავრის ორბიტის ძირითადი ელემენტები და საჭირო სიზუსტით გავუკეთოთ პროგნოზი მის მოძრაობას რამდენიმე დღეღამით ადრე.

წარმოებს განზომილებათა შედეგების დამუშავება მატარებელი რაკეტის მოძრაობის პარამეტრების დაზუსტების მიზნით. 13 ოქტომბერს დილით მატარებელი რაკეტი უსწრებდა თანამგზავრს დაახლოებით 5 წუთით ანუ 2,5 ათასი კილომეტრით. მოსალოდნელია ამ მანძილის შემდგომი გადიდება.

14 და 15 ოქტომბერს თანამგზავრის მოძრაობაზე დაკვირვებისათვის გადმოგცემთ მსოფლიოს იმ ძირითადი პუნქტების სიას, რომელთა რაიონში გაივლის თანამგზავრი (მოსკოვის დროით).

14 ოქტომბერი

ოკლენდი (ახალი ზელანდია) — 09 საათი და 25 წუთი, ჰონოლულუ — 09 საათი და 42 წუთი, პორტ-ნელსონი — 09 საათი და 54 წუთი, აბიჯანი (აფრიკა) — 10 საათი და 19 წუთი, მელბურნი — 11 საათი და 00 წუთი, კუნძული ნიუ-ფაუნდლენდი — 11 საათი და 41 წუთი, კემპის მიწა — 12 საათი და 23 წუთი, ბერდენი (ავსტრალია) — 12 საათი და 43 წუთი, ფერბენკსი — 13 საათი და 08 წუთი, ოტავა — 13 საათი და 19 წუთი, ნიუ-იორკი — 13 საათი და 20 წუთი, ბელემი — 13 საათი და 33 წუთი, რიო-დე-ჟანეირო — 13 საათი და 40 წუთი, მანილა — 14 საათი და 28 წუთი, ოსაკა — 14 საათი და 34 წუთი, იუჟნო-სახალინსკი — 14 საათი და 37 წუთი, უგოლნაია — 14 საათი და 43 წუთი, ფერბენკსი — 14 საათი და 46 წუთი, კანზას-სიტი — 14 საათი და 57 წუთი, ჰავანა — 15 საათი და 02 წუთი, პანამა — 15 საათი და 06 წუთი, ბუენოს-აირესი — 15 საათი და 20 წუთი, ბანგკოკი — 16 საათი და 04 წუთი, ჩუნცინი — 16 საათი და 08 წუთი, ტაი-იუანი — 16 საათი და 10 წუთი, ოხოტსკი — 16 საათი და 17 წუთი, ანადირი — 16 საათი და 21 წუთი, კორდოვა (ალასკა) — 16 საათი და 25 წუთი, ვანკუვერი — 16 საათი და 30 წუთი, გვადალახარა — 16 საათი და 38 წუთი, კუნძული ცეცხლოვანი მიწა — 17 საათი და 02 წუთი, ბომბეი — 17 საათი და 41 წუთი, ირკუტსკი — 17 საათი და 51 წუთი, უგოლნაია — 17 საათი და 59 წუთი, გრეიამის მიწა — 18 საათი და 43 წუთი, იოჰანესბურგი — 19 საათი და 03 წუთი, ტაშკენტი — 19 საათი და 23 წუთი, ნოვოსიბირსკი — 19 საათი და 27 წუთი, ალეუტის კუნძულები — 19 საათი და 40 წუთი, ჰონოლულუ — 19 საათი და 50 წუთი, გრეიამის მიწა — 20 საათი და 23 წუთი, კაირო — 20 საათი და 55 წუთი, დამასკო — 20 საათი და 57 წუთი, თბილისი — 20 საათი და 59 წუთი, კუიბიშევი — 21 საათი და 02 წუთი, სვერდლოვსკი — 21 საათი და 03 წუთი, ვილიუისკი — 21 საათი და 10 წუთი, ოხოტსკი — 21 საათი და 13 წუთი, პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი — 21 საათი და 16 წუთი, აკრა — 22 საათი და 25 წუთი, ტრიპოლი — 22 საათი და 32 წუთი, ნეაპოლი — 22 საათი და 34 წუთი, ბელგრადი — 22 საათი და 36 წუთი, კიევი — 22 საათი და 38 წუთი, მოსკოვი (მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ) — 22 საათი და 39 წუთი, სიკტივკარი — 22 საათი და 41 წუთი, ხაბაროვსკი — 22 საათი და 52 წუთი, საპორო — 22 საათი და 54 წუთი, კუნძული ცეცხლოვანი მიწა — 23 საათი და 41 წუთი, რიო-დე-ჟანეირო — 23 საათი და 52 წუთი.

15 ოქტომბერი

ლისაბონი — 00 საათი და 09 წუთი, ლონდონი — 00 საათი და 13 წუთი, სტოკჰოლმი — 00 საათი და 16 წუთი, არხანგელსკი — 00 საათი და 19 წუთი, ულან-უდე — 00 საათი და 28 წუთი, პეკინი — 00 საათი და 31 წუთი, ბრისბენი — 00 საათი და 53 წუთი, სანტ-იაგო — 01 საათი და 25 წუთი, ჰიბრიდის კუნძულები — 01 საათი და 51 წუთი, ბრხანგელიუდი — 01 საათი და 57 წუთი, ნოვოსიბირსკი — 02 საათი და 02 წუთი, ჩენდუ — 02 საათი და 10 წუთი, დერბი (ავსტრალია) — 02 საათი და 25 წუთი, კიტო (სამხრეთი აფრიკა) — 03 საათი და 10 წუთი, პეტროზავოდსკი — 03 საათი და 35 წუთი, ტაშკენტი — 03 საათი და 43 წუთი, დელი — 03 საათი და 46 წუთი, ნოკსვილი — 04 საათი და 56 წუთი, კლივლენდი — 04 საათი და 57 წუთი, ოტავა — 04 საათი და 59 წუთი, რეიკიავიკი — 05 საათი და 07 წუთი, სტოკჰოლმი — 05 საათი და 12 წუთი, რიგა — 05 საათი და 13 წუთი, მინსკი — 05 საათი და 14 წუთი, მოსკოვი (მოძრაობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) — 05 საათი და 15 წუთი, ხარკოვი — 05 საათი და 16 წუთი, თბილისი — 05 საათი და 18 წუთი, მასკატი — 05 საათი და 24 წუთი, ფენიკსი (ამერიკის შეერთებული შტატები) — 06 საათი და 31 წუთი, დენვერი — 06 საათი და 33 წუთი, პორტ-ჰარისონი — 06 საათი და 39 წუთი, რეიკიავიკი — 06 საათი და 45 წუთი, ბერლინი — 06 საათი და 51 წუთი, ათენი — 06 საათი და 55 წუთი, კაირო — 06 საათი და 58 წუთი, ადის-აბება — 07 საათი და 04 წუთი, კუნძული მადაგასკარი — 07 საათი და 11 წუთი.

(საკდესი).

დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა თბილისს გადაუფრინა

გუშინ, 14 ოქტომბერს თბილისს გადაუფრინა დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა. საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს კავშირგაბმულობის კვანძში მიეწყო რადიოდაკვირვება თანამგზავრის სიგნალებისადმი. საკაბარაოში შეიკრიბნენ ინჟინერი სინოპტ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მაღალი ხარისხისათვის

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი

უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მან სტუდენტები უნდა შეიიარაღოს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა ცოდნით. უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივი დისციპლინების კათედრებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ აღზარდონ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა კომუნიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მოამზადონ ახალგაზრდობისაგან სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა — პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხს მიეძღვნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. თათბირი მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ წარმომადგენლები ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმისა, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმეში. თათბირში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მარქსიზმ-ლენინიზმის, პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის კათედრების ხელმძღვანელებმა და ლექტორებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, ისტორიისა და ეკონომიკის ინსტიტუტების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერმა თანამშრომლებმა, პარტიულმა მუშაკებმა, პროპაგანდისტებმა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაკებმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. დ. მ. კუკინმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ა. კვეტაძემ.

მოხსენება „რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ.

მომხსენებელმა ილაპარაკა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიად სასიცოცხლო ძალაზე, ისტორიულ გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. იმის მკაფიო დადასტურებას, რომ იმარჯვებს სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა განთავისუფლებული შეგნებული შრომა, რომელიც რეალურს ხდის კაცობრიობის ყველაზე გაბედულ ოცნებას, წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვება, რაც მოასწავებს ახალ ეტაპს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებები, ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, რომელიც აყვანილია უმაღლეს საფეხურზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გამოიხატება საბჭოთა ხალხის ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მომხსენებელი ლაპარაკობს უდიდეს პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე რესპუბლიკის მშრომელებს შორის, რაც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებით, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე.

რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. იმართება საუბრები, ლექციები, მოხსენებები, მშრომელთა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის მონაწილეებთან, სამეცნიერო სესიები, ლიტერატურული საღამოები. თეატრების მუშაკები, მხატვრები, კომპოზიტორები მომავალ დღესასწაულს უძღვნიან დრამატული, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს.

სტუდენტთა იდეური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ამბობს მომხსენებელი, არის ის, რომ ღრმად განვუმარტოთ მათ საბჭოთა ხალხის გმირობის სიდიადე, ხალხისა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, განვუმარტოთ მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და უდიდესი გავლენა ხალხთა ბედზე.

მომხსენებელი დაწვრილებით უკეთებს ანალიზს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სწავლებისა და ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

წამყვანი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან ისტორიას. იგი არის კადრების აღზრდის მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, უმნიშვნელოვანესი წყარო.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება განუწყვეტლივ მდიდრდება რევოლუციური ბრძოლის ახალი გამოცდილებით. ჩვენი პარტიის მოღვაწეობა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მარქსიზმის შემოქმედებითი გამოყენების, ყველა ჯურის რევიზიონისტთა და დოგმატიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლაში თეორიის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრების უაღრესად მკაფიო ნიმუშია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში მარქსიზმ-ლენინიზმმა მიიღო თავისი შემდგომი განვითარება. იმ გარემოებამ, რომ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, მთელმა პარტიამ ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს, არ სურდათ დაენახათ და გაეთვალისწინებინათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენი პარტია მტკიცედ დგას შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლა, მის უმნიშვნელოვანეს დებულებათა შემოქმედებითი შესწავლა და პროპაგანდა უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული პროპაგანდისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენების საფუძველია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაისახა ერთგვარი გაუმჯობესება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სწავლებაში. მასწავლებლები უკეთ განმარტავენ თავიანთ ლექციებში ხალხის მასების როლს, პარტიისა და მისი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის როლს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კარგად მუშაობენ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ზოგიერთი სხვა ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები.

— ამასთანავე, — ამბობს იგი, — რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სწავლების საერთო მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის ჯეროვან დონეზე. პარტიის ისტორიის შესწავლაში ჯერ კიდევ იშვიათად როდი ვხვდებით ფორმალიზმის, დოგმატიზმისა და თალმუდიზმის ელემენტებს. სწავლება საკმაოდ არ არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

სწავლების დაბალი დონე იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში არა გვყავს მომზადებული მაღალკვალიფიციური ლექტორები, აგრეთვე იმით, რომ თავმიჩებებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დარგში. მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ზოგიერთი ლექტორი სერიოზულად არ ეკიდება თავის მოვალეობას, ცუდად ემზადება ლექციებისათვის. მომავალი პედაგოგების მომზადების ხარისხისათვის შეშფოთებას იწვევს, მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქ ლექციებს დაბალ თეორიულ დონეზე კითხულობენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სწავლების ჩამორჩენილი უბანია სემინარული მეცადინეობა. ბევრ შემთხვევაში ეს მეცადინეობა სქოლასტიკურად წარმოებს კითხვა-პასუხის ფორმით, ისე, რომ არ ხდება საკითხთა ცოცხალი შემოქმედებითი განხილვა. მომხსენებელი ეხება კომუნისტური პარტიის მანიფესტისადმი მიძღვნილი სემინარის მუშაობას, რაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ამხ. გ. ნ. გურეშიძემ მოაწყო. ლექტორმა ვერ განუმარტა სტუდენტებს მარქსიზმის სამი წყარო, სამი შემადგენელი ნაწილი, ვერ გაუშუქა ცნება კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა დახასიათებას, რომლებიც ახლავს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას პარტიის ისტორიაში. არ არის ჯეროვანი კონტაქტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალსა და უმაღლეს სასწავლებელთა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრებს შორის. გამოცდილი ლექტორები ჩაბმული არ არიან ადგილობრივ პარტორგანიზაციათა ისტორიის მეცნიერულ დამუშავებაში. ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომლებიც მასწავლებლებმა შეასრულეს, თეორიულად უმწეოა და თვით ავტორები ამჯობინებენ არქივში შეინახონ ეს ნაშრომები, არ აყენებენ მათი გამოქვეყნების საკითხს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ეოტა როდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ნიჭიერი და გამოცდილი ლექტორი, რომლებიც ათეული წლების მანძილზე მუშაობენ ამ დარგში, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი, რომელსაც დაეცვას დისერტაცია პარტიის ისტორიის საკითხებზე.

მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა გადაისინჯოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დარგში მომუშავე მეცნიერთა კადრების აღზრდის საქმისადმი. საჭიროა გადაჭრით ავამაღლოთ კათედრების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საკითხებზე მეცნიერული ნაშრომებისათვის საკანდიდატო ხარისხთა მინიჭების საქმეში. საჭიროა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებთან არსებული სასწავლო კაბინეტების მუშაობის შინაარსი.

მომხსენებელი ყურადღებას აქცევს იმას, რომ რესპუბლიკურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა უნდა გამოაქვეყნონ მეტი სტატიები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე.

რესპუბლიკის იდეურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ გამოსვლა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა მომზადა. ახლა, ამბობს მომხსენებელი, ჩვენ გვაქვს საქართველოს კომპარტიის — საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის უძველესი და მოწინავე, მებრძოლი, რაზმის ისტორიის სისტემატური გაშუქება.

მომხსენებელი ლაპარაკობს ეკონომისტ მასწავლებელთა დიდი პასუხისმგებლობის შესახებ. ამჟამად, როცა საბჭოთა ადამიანები იბრძვიან სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად, პირველ პლანზე დგება მარქსიზმის თეორიის ეკონომიური მხარე, კონკრეტული ეკონომიკის საკითხები. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს პოლიტიკური ეკონომიის სწავლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში რამდენადმე გაუჯობესდა. ამას ხელი შეუწყო კ. მარქსის „კაპიტალის“ მეორე ქართული გამოცემის და მარქსის, ენგელსის, ლენინის სხვა ეკონომიურ ნაშრომთა გამოსვლამ ქართულ ენაზე.

უმაღლეს სასწავლებელთა პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი კათედრა ამუშავებს რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. მაგალითად, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ თავისი ძალები წარმართა იმისათვის, რომ შეისწავლოს საქართველოს მრეწველობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების კომპლექსური პრობლემა. 1955 წლის დამდეგს რესპუბლიკის ჟურნალებში, უმაღლეს სასწავლებელთა შრომების კრებულებში, ცალკე ბროშურებად და მონოგრაფიებად გამოქვეყნდა 30-ზე მეტი ნაშრომი ეკონომიური თეორიისა და კონკრეტული ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც უმთავრესად ეკონომისტ მასწავლებლებს ეკუთვნით.

მაგრამ პოლიტიკური ეკონომიის სწავლებასა და ამ დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაყენებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია ის, რომ ლექტორებმა სუსტად იციან კონკრეტული ეკონომიკის მეცნიერება, ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების, მტს-ების ცოცხალი საქმიანობა, ვერ იჩენენ უნარს ორგანულად დაუკავშირონ თეორიული დებულებანი სსრ კავშირის ცხოვრებისა და საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანეს ახალ მოვლენებს.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის თეორიული და სასწავლო-მეთოდური მუშაობა ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. დოცენტის ამხ. ა. ი. ონანიანის ლექციებში, რომელიც გამოცდილ და კვალიფიციურ მასწავლებლად ითვლება, ბევრია აგიტაციის ელემენტი, მაგრამ ცოტაა დამაჯერებლობა, დამტკიცება.

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს აგრეთვე ლექციებსა და სემინარულ მეცადინეობას, რასაც კითხულობენ და ხელმძღვანელობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლები ამხ. ვ. ი. პიტოევი, დოცენტი ვ. ი. პეტროსიანი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ს. ი. კობიძე (სამედიცინო ინსტიტუტი), ი. ნ. ჯიოევი (სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი) და სხვ.

მასწავლებელთა საქმიანობაში, ამბობს მომხსენებელი, ნაკლი გაცილებით უფრო ცოტა იქნებოდა, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრები, პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელები რომ ახორციელებდნენ ყოველდღიურ დახმარებასა და ქმედითს კონტროლს ლექტორთა მუშაობისადმი, ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებისათვის.

ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ნაკლებად არის გამოყენებული ლექტორებისადმი დახმარების ისეთი ფორმა, როგორიც არის შემოქმედებითი განხილვა და ამხანაგური დისკუსიები პროგრამის საკვანძო საკითხებზე. ამ მხრივ თითქმის არაფერს არ აკეთებს თბილისის პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელთა საქალაქო სემინარი, რომელმაც ამას წინათ განაახლა მუშაობა.

უმაღლესი სასწავლებლების კათედრებმა და ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ დახმარება და კონტროლი მასწავლებლების მუშაობისადმი მათი მეცნიერული კვალიფიკაციისა და მეთოდური ოსტატობის ამაღლების დარგში. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ეს საქმე თვითდინებას მიანდეს. მაგალითად, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის რვა წევრიდან მარტო კათედრის გამგეს ამხ. ა. დ. პრიმოს აქვს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა უნდა გააძლიეროს მუშაობა პოლიტიკური ეკონომიის პრობლემების მეცნიერული დამუშავების დარგში.

იგი ამბობს, რომ ლექციები უნდა შეიცავდნენ უფრო მეტ კონკრეტულ ფაქტებსა და მაგალითებს, საჭიროა მასწავლებლების უზრუნველყოფა სტატისტიკური მონაცემებით, თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით. ამავე დროს რესპუბლიკის სტატისტიკიერი სამმართველო უკვე წელიწადზე მეტია ამზადებს ახალ სტატისტიკურ კრებულს, ხოლო როდის გამოვა იგი — არავინ იცის.

მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებლების აქტიური მონაწილეობისა სახელმძღვანელოების და დამხმარე წიგნების შექმნის საქმეში. სტუდენტების მიერ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შეთვისებაზე უარყოფითს გავლენას ახდენს ის, რომ არ არის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სასწავლო წიგნი. კარგი თაოსნობა გამოიჩინეს ამ მხრივ თბილისის უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის მუშაკებმა, რომლებმაც მოამზადეს და გამოუშვეს ორი წიგნი — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სახელმძღვანელო. ეს წიგნები უნაკლო როდია, მაგრამ ისინი მაინც დიდ დახმარებას გაუწევენ სტუდენტებს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს მიღწეულია თბილისის უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის მუშაობის გაუმჯობესება, კათედრისა, რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში, მთელ რიგ შემთხვევებში ლექციები და სემინარები ფილოსოფიის საკითხებზე ჯერ კიდევ დაბალ დონეზე ეწყობა. ფილოსოფიის ბევრი მასწავლებელი ნაკლებად იცნობს ან სრულიად არ იცნობს თანამედროვე ბუნებისმეტყველებას, ხოლო კათედრები არ იღებენ ქმედითს ღონისძიებებს, რათა დაეხმარონ მათ ამ საქმეში, მჭიდრო კავშირი დაამყარონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრებთან.

უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები და მეცნიერი მუშაკები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის შესწავლის, ყოველმხრივი კრიტიკისა და მხილების დარგში.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საქმიანობაში. ინსტიტუტის მეცნიერულ პროდუქციაში სჭარბობს ისტორიულ-ფილოსოფიური თემატიკა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ ჩამორჩენას სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკითხთა დამუშავებაში. იგი აღნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით საჭიროა ჩვენმა იურისტებმა უფრო ენერგიული მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საპროცესო კოდექსების პროექტთა შემუშავებასა და შედგენაში.

დასასრულ მომხსენებელი გამოთქვამს რწმენას, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთი მუშაობის თეორიულ დონეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ახალგაზრდობის შეიარაღების დარგში.

კამათში მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. მათ წამოაყენეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებასთან, მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლასთან.

თბილისის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ პროფესორმა ს. ლ. ბერაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს სტუდენტთა პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მიზანშეწონილი იქნება გადიდდეს იმ საათების რაოდენობა, რომლებიც ეთმობა სემინარებს. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ არსებულ ლიბერალიზმს საზოგადოებრივ დისციპლინებში სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას. ორატორმა სურვილი გამოთქვა თბილისში ქართული ენაზე ეკონომიური ჟურნალის გამოცემის შესახებ.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის პროფესორმა ე. ე. ბურჭულაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის საკითხს. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები და მათი ოპორტუნისტი დამქაშები ცდილობენ პარტიის მიერ პიროვნების კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა გამოიყენებინათ სოციალისტური წყობილების დიად მიღწევათა ხელყოფით გაბიაბრუებისათვის. ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი და მასწავლებელი, აღნიშნავს ორატორი, რევიზიას უკეთებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს, ამით მხოლოდ არევდარევას იწვევს. იგი მოუწოდებს გაძლიერდეს ბრძოლა რევიზიონისტული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგჯერ შეაღწევენ ხოლმე სტუდენტთა წრეშიც.

თბილისის უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგემ პროფესორმა კ. ს. ბაქრაძემ გააკრიტიკა უმაღლეს სასწავლებლებში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსის პროგრამა.

— ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია,— განაცხადა მან, — რომ მარქსიზმი არის ყოველივე იმ საუკეთესოს მემკვიდრე, რაც მეცნიერებამ შექმნა მარქსიზმამდე. რა მდგომარეობაშია ლექტორი, რომელსაც იმისათვის, რომ გააშუქოს მთელი ფილოსოფია მარქსამდე, ეძლევა მხოლოდ 8 სასწავლო საათი?

იგი აღნიშნავს, რომ თითქმის სრულებით არ მოიპოვება ლიტერატურა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყოს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის შეხედულებანი და მოცემული იყოს მათი სერიოზული, დასაბუთებული და ყოველმხრივი კრიტიკა.

საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხთა მეცნიერულ დამუშავებაში დიდ გამოცოცხლებაზე ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის შოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ბ. მახარაძემ.

— არ შეიძლება აღფრთოვანებას არ განიცდიდეთ, — ამბობს იგი, როცა კითხულობთ მრავალ დოკუმენტს, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა გმირულად იბრძოდნენ საქართველოს ბოლშევიკები უძნელეს პირობებში ხალხის ნათელი მომავლისათვის. მენშევიკთა ბატონობის წლებში მიწა იწვოდა უცხოელ დამპყრობთა, ექსპლოატატორული კლასებისა და მათი მსახურების ფეხქვეშ. დიდი ოქტომბრის იდეებმა მასები სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანეს.

ორატორი ამბობს, რომ უკანასკნელ ხანს შეიქმნა მთელი რიგი ახალი შრომები საქართველოში დიდი ოქტომბრის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის საკითხებზე, რომელთა ავტორები არიან აკადემიკოსი ივ. ხაჭაპურიძე, დოცენტები ა. სურგულაძე, გ. ყვანია და სხვ. მაგრამ მეცნიერულ ნაშრომთა გამოცემის შესაძლებლობა შეზღუდულია. ამხ. მახარაძემ აღძრა საკითხი, რომ საქართველოში გამოიცეს ორკვირეული ჟურნალი პარტიის ისტორიის საკითხებზე. და აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ თანამშრომლობდნენ ცენტრალურ ჟურნალებში საქართველოს მეცნიერი მუშაკები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები. ამხ. მახარაძე ამბობს აგრეთვე, რომ ჟურნალი „ვოპროსი ისტორიი“ სწორად არ აშუქებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ზოგიერთ პრობლემას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ა. ლარცულიანმა თათბირს გააცნო, თუ რა მუშაობა შეასრულა ინსტიტუტმა უკანასკნელ წლებში. ინსტიტუტის მუშაკებმა დაამუშავეს 200-ზე მეტი თემა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიისა და ესთეტიკის საკითხებზე. ზოგიერთი მათი გამოკვლევა გამოვიდა ცალკე გამოცემად, გამოქვეყნდა ინსტიტუტის შრომებში.

ამხ. ლარცულიანმა აღძრა საკითხი, რომ რესპუბლიკაში შეიქმნას ფილოსოფიური ჟურნალი. ფილოსოფიის მასწავლებლებს, მეცნიერებს, მიაჩნია, რომ მასწავლებლებს, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ, ბევრი ხანია ლექციებს კითხულობენ და მოუპოვებათ ნაბეჭდი შრომები, დოცენტის თუ პროფესორის წოდება დისერტაციის დაუცველად უნდა მიენიჭოთ. ორატორი ამბობს, რომ თბილისში ფილოსოფოსებს შესაძლებლობა არა აქვთ დაიცვან სადოქტორო დისერტაცია, რომ საჭიროა გაფართოვდეს ამ მხრივ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა უფლებები.

სამწუხაროდ, ამხ. ლარცულიანმა არაფერი თქვა იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებს, რათა აღმოიფხვრას ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობაში ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკი იყო მოხსენებაში.

სწავლების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონეზე. ეს აზრი რომ გამოთქვა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ს. ა. სიმონგულოვმა თათბირს გააცნო, თუ რა გააკეთა კათედრამ ამ მიმართულებით.

მიმდინარე წელს კათედრის წევრებმა მოამზადეს 4 სადისერტაციო ნაშრომი, რომლებიც ქვეყნდება ინსტიტუტის შრომათა კრებულში, გარდა ამისა, ოთხი გამოკვლევა, რომლებიც ინსტიტუტის მასწავლებლებმა დაწერეს, იბეჭდება კრებულში, რაც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის გამოვა.

ორატორი ამბობს, რომ საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების მეცნიერული მოღვაწეობის კოორდინაცია. მას საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების ფართო განხილვა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ მისი მეორე გაუმჯობესებული გამოცემა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პროფესორმა შ. ი. ნუცუბიძემ თავის სიტყვაში ილაპარაკა ქართული ფილოსოფიის ისტორიის შემდგომი მეცნიერული დამუშავების ამოცანებზე. საჭიროა, — ამბობს იგი, — შევქმნათ ფილოსოფიის დოკუმენტალური ისტორია, რომელშიც გაშუქებულ იქნება, თუ როგორ კარგავდა თანდათან ფილოსოფია სასულიერო-რელიგიურ ხასიათს და როგორ ენიუბოდა მას საერო-სამოქალაქო ხასიათი. უნდა ვამხილოთ და ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული სახეობის — ეგზისტენციალიზმის წინააღმდეგ.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. ბ. დარახველიძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ საჭიროა ქართულ ენაზე ითარგმნოს მარქსამდელი პერიოდის გამოჩენილ ფილოსოფოსთა, კერძოდ ჰეგელის, მთელი რიგი ნაწარმოებნი. ამხ. დარახველიძეს მიაჩნია, რომ უმაღლესი სასწავლებლები უნდა გავათავისუფლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა იმ მასწავლებლებისაგან, რომლებსაც არ გააჩნიათ საამისოდ საჭირო უნარი. ამ მხრივ მეტი უფლება უნდა მივანიჭოთ უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებსა და კათ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მაღალი ხარისხისათვის

(დასასრული)

სტუდენტებს ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილები — დიდი სამამულო ომის გმირები, ჩვენი ქვეყნის, კერძოდ რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგეს დოცენტ ა. დ. პრიმოს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი დისციპლინების შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დაიწყოს პოლიტიკური ეკონომიით. მან აღნიშნა ერთგვარი პარალელიზმი და განმეორებანი სტუდენტების მიერ პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მარქსისტული ფილოსოფიის ცალკეულ განყოფილებათა შესწავლის დროს.

საქართველოს ისტორიკოსთა მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა გ. ა. მელიქიშვილმა. მან თქვა, რომ იზრდება ქართველ ისტორიკოსთა კადრები, რომლებიც ახლა სერიოზულად მუშაობენ არა მარტო საქართველოს შორეული წარსულის ისტორიის შესწავლაზე, არამედ თანამედროვე ისტორიის საკითხებზეც. ამასთანავე ორატორმა დაახასიათა სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის ისტორიკოსთა საქმიანობაში.

დღემდე არ არის შექმნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. სუსტად წარმოებს დოკუმენტების, ისტორიული ძეგლების პუბლიკაცია, ცოტა იწერება მონოგრაფიები ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებს ახასიათებს თემების სიმრავლე. მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებიც დამთავრებულად ითვლება, არ არის სრულფასოვანი და მათ საბოლოო დამუშავება ესაჭიროება. სამეცნიერო შრომების პუბლიკაციის შეზღუდული შესაძლებლობის გამო იძულებული ვართ ველოდოთ ამას 4-5 წელს. ზოგიერთი დისკუსია ისტორიის თეორიულ პრობლემებსა და საკითხებზე ბოლომდე არ მიჰყავთ. ორატორი შეეხო იმას, რომ ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი“ დაიბეჭდა გ. კ. სოსელიას მცდარი და აბნეული სტატია საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე. სტატიას მხოლოდ დეზორიენტაცია შეაქვს ამ საკითხში და ისტორიკოსთა ყურადღებას აშორებს მის მეცნიერულ შესწავლას.

თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრის გამგე დოცენტი ლ. ე. გორგილაძე შეეხო უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. მას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლებაში არ არის თანმიმდევრობა. მაგალითად, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ჯერ სწავლობენ პარტიის ისტორიას, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას, რაც სწორი არ არის. პარტიის ისტორიის შესწავლისას მასწავლებლები ლაპარაკობენ უპირატესად პარტიის იდეებზე, მის თეორიაზე, მაგრამ სრულიად არა საკმაოდ აშუქებენ პარტიის პრაქტიკულ საქმიანობას. სემინარული მეცადინეობის გეგმები არ ასახავენ ადგილობრივ პირობებს. ამიტომ მათ ხშირად აბსტრაქტული ხასიათი აქვთ. ზოგიერთი სტუდენტი მარტოოდენ იზეპირებს მასალას, შემოქმედებითად ვერ ერკვევა საკითხის არსში. ორატორმა ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა ამაღლდეს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ დისციპლინათა ლექტორების დანიშვნისათვის. მას საჭიროდ მიაჩნია გავაუმჯობესოთ სტუდენტებში მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, ვზრდიდეთ ახალგაზრდობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორმა ა. ი. კიკვიძემ გააკრიტიკა რიგი მცდარი დებულებებისა საქართველოს ისტორიის საკითხებიდან, რომლებსაც იცავენ ცალკეული მეცნიერები.

მაგრამ ორატორმა არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს საქართველოს ისტორიის სწავლების ხარისხი, რომლის კურსსაც თვითონ კითხულობს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გამგემ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გ ნუცუბიძემ თქვა, რომ რამდენადმე გამოცოცხლდა ინსტიტუტის მუშაობა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის შესწავლის დარგში. მაგრამ ამასთანავე სუსტად მუშავდება ეკონომიური თეორიის საკითხები. საჭიროა უფრო ოპერატიულად უზრუნველყოთ ეკონომისტები სტატისტიკური მონაცემებით, აგრეთვე მოვაწყოთ მეცნიერი ეკონომისტების ექსკურსიები როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ე. ჭახრაკიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი დისციპლინების ლექტორთა მორალურ-პოლიტიკური სახე ყოველმხრივ უმწიკვლო უნდა იყოს. ლექტორი უნდა იყოს სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მას უნდა უყვარდეს თავისი ხალხი, მისი ისტორია, დაუცხრომლად იმაღლებდეს იდეურ დონეს, მეცნიერულ კვალიფიკაციას. ზოგიერთი ლექტორი კი, თქვა ძან, აუდიტორიის წინაშე გამოდის რამდენიმე წლის წინათ დაწერილი ლექციების ტექსტებით, რაც მოწმობს მათს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საქმისადმი. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა 170 მასწავლებლიდან 35 პროცენტს არა აქვს მეცნიერული ხარისხი. ამავე დროს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებმაც ასპირანტურა დაამთავრეს და დისერტაცია დაიცვეს, წლობით უადგილოდ რჩება.

ორატორმა აღძრა საკითხი, რომ საჭიროა საზოგადოებრივი დისციპლინების კათედრათა გამგეები და წევრები უფრო პრინციპულად ეკიდებოდნენ შეცდომების კრიტიკას და მასწავლებელთა მუშაობის შეფასებას. მას მიაჩნია, რომ ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსების მოწყობამ.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. დ. მ. კუკინს. თავისი სიტყვის დასაწყისში იგი შეეხო იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს. ორატორმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა შემოქმედებითი ზეგავლენა მოახდინეს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ დონეზე. ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობა, რომლის ნაწილია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება, განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა იმ ამოცანებით, რომლებსაც პარტია წყვეტს ჩვენი ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე. ეს ამოცანები აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების დადგენილებებში.

ამხ. კუკინი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებისათვის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებისათვის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“. ამ გამოსვლაში დასახულია არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების აქტუალური პრობლემები, არამედ აგრეთვე უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, პარტიის ისტორიის განვითარებასთან.

ორატორი ამბობს, რომ წელიწადნახევარმა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ გავიდა, სავსებით დაადასტურა იმ ხაზის სისწორე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, ისე იდეოლოგიური მუშაობის საკითხებში.

პარტიის XX ყრილობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამბობს ამხ. კუკინი, თავიანთ გადაწყვეტილებებში მოითხოვენ ჩვენგან მტკიცე ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, ბრძოლას რევიზიონიზმის, დოგმატიზმის წინააღმდეგ. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ ბოლშევიზმი გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო მტკიცე ბრძოლაში ორ ფრონტზე, ჯერ ერთი, აშკარა რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, და მეორე, მემარცხენე დოქტრინიორობის, დოგმატიზმის, სექტანტობის წინააღმდეგ.

ჩვენი მტრები შეეცადნენ გამოეყენებინათ პიროვნების კულტის დაძლევასთან დაკავშირებული შეცდომების კრიტიკა, რათა სახელი გაეტეხათ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დიდი მიღწევებისათვის, იმედს ამყარებდნენ, რომ ამ ბანაკში არევდარევა მოხდებოდა. მაგრამ ჩვენმა პარტიამ, სოციალიზმის ყველა ქვეყანამ მტკიცე პასუხი გასცეს მსოფლიო რეაქციის ძალების ახალ შემოტევას, კიდევ უფრო განმტკიცებულნი გამოვიდნენ ბრძოლიდან მათ წინააღმდეგ.

ამხ. კუკინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის არსებობის შედეგები მოწმობენ სოციალიზმის იდეების მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. ჩვენ უნდა ცხადყოთ ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდი უპირატესობა, რომელმაც უზრუნველყო გამარჯვება სამამულო ომში, საბჭოთა ხალხის გმირობა, ვუჩვენოთ ახალგაზრდობას დიდი ოქტომბრის რევოლუციის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შექმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებმა თავიანთ ლექციებში უფრო სრულად და მკაფიოდ უნდა უჩვენონ ჩვენი პარტიის დიადი როლი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, პარტიის რიგების ლენინური ერთიანობისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. კუკინი შეეხო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებასთან და პოლიტიკური ეკონომიის, პარტიის ისტორიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებასთან. ყოველი დისციპლინის და განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის უმნიშვნელოვანესი ელემენტი უმაღლეს სასწავლებელში, აღნიშნავს ორატორი, არის ლექციები. ლექციებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მუდამ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ სწავლების ხარისხი დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ლექტორებზე.

ორატორს საჭიროდ მიაჩნია ყოველი ლონისძიებით ამაღლდეს საზოგადოებრივ დისციპლინებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დონე და მის მოსაწესრიგებლად ჩაბმულ იქნან როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა კადრები. იგი აღნიშნავს, რომ ამისათვის საჭიროა, რომ უფროს თაობას ჰქონდეს აურვილი დაეხმაროს ახალგაზრდობას, ხოლო ახალგაზრდა თაობას ჰქონდეს სწავლის სურვილი.

ამხ. კუკინი ამბობს, რომ საჭიროა კათედრებს მეტი ინიციატივა და დამოუკიდებლობა მიეცეთ. მან მოიწონა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის წევრთა ინიციატივა, რომლებმაც სახელმძღვანელოს სახით გამოსცეს წაკითხული ლექციების კურსი.

ფილოსოფოსებმა უნდა შეისწავლონ ბუნებისმეტყველება, ამბობს ამხ. კუკინი, რადგან არ შეიძლება სრულფასოვნად ასწავლო ფილოსოფია, თუ არიცი ბუნებისმეტყველების ძირითადი საკითხები. იგი შეეხო საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების საქალაქო სემინარების დიდ მნიშვნელობას და ილაპარაკა მოსკოველთა გამოცდილებაზე. მოსკოვში ეს სემინარები რეგულარულად ეწყობა. ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, პარტიის ისტორიაში მაღალკვალიფიციური ლექციების წაკითხვასთან ერთად სემინარებზე სისტემატურად აკეთებენ მოხსენებებს მიმდინარე საკითხებზე ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, მინისტრები.

ამხ. კუკინი ამბობს, რომ ლექციებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები უნდა კითხულობდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა მიღწევის დონეზე, თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირში. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა ციტატობანის წინააღმდეგ, ნაცვლად ცხოვრების გულდასმით შესწავლისა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები და მუშაკები ძალიან მნიშვნელოვან უბანზე იმყოფებიან. ისინე დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის აღსაზრდელად მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი გარდამქმნელი იდეების სულისკვეთებით და უნდა გაიმსჭვალონ დიდი პასუხისმგებლობით ამ საქმისათვის.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ.

თათბირმა დასახა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები. (საქდესი).

გარდაბნის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა

გარდაბნის რაიონმა 10 ოქტომბრისათვის 100,7 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 270 ტონისა სახელმწიფოს ჩაბარდა 272 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

მცხეთის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა

მცხეთის რაიონმა 10 ოქტომბრისათვის 101,4 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.650 ტონისა სახელმწიფოს ჩაბარდა 1.673 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადება გრძელდება. (საქდესი)

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე

როგორ და რატომ მოძრაობს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი?

სვერდლოვსკელმა მუშებმა ამხ. კუზნეცოვმა, ანდრეევმა, სავინიხმა, პოპოვმა, იაკოვლევმა „პრავდის“ რედაქციას მიმართეს თხოვნით განემარტა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებასთან. ისინი გვეკითხებიან: რა აიძულებს თანამგზავრს იმოძრაოს დედამიწის გარშემო ასეთი დიდი სიჩქარით? შესაძლებელია თუ არა უფრო დიდი წონის თანამგზავრის გაშვება და 1.000 კილომეტრზე მაღლა? შეიძლება თუ არა თანამგზავრის მოძრაობის სიჩქარის შემცირება ორბიტზე? შესაძლებელია თუ არა დედამიწის მუდმივი თანამგზავრის შექმნა?

ქვემოთ ვაქვეყნებთ პასუხს ამ შეკითხვებზე.

თანამგზავრი დედამიწის გარშემო მოძრაობს როგორც ციური სხეული. თანამგზავრის მოძრაობა ციური მექანიკის იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც მთვარის მოძრაობა დედამიწის გარშემო, აგრეთვე დედამიწისა და მზის სისტემის სხვა პლანეტთა მოძრაობა მზის გარშემო. ეს კანონები აღმოაჩინა კეპლერმა. თანამედროვე ციური მექანიკა ემყარება საყოველთაო მიზიდულობის კანონს, რომელიც ნიუტონმა აღმოაჩინა.

თანამგზავრი დედამიწის გარშემო დიდი სიჩქარით მოძრაობს. დედამიწის მიზიდულობა რომ არ ყოფილიყო, თანამგზავრი უპირველ სივრცეში იმოძრავებდა თანაზომიერად და სწორხაზოვნად. დედამიწის მიზიდულობა ამრუდებს მის ტრაექტორიას და აიძულებს თანამგზავრს შემოუაროს დედამიწას და იმოძრაოს მისი ზედაპირის გაყოლებით.

თანამგზავრის მოძრაობა შეიძლება შევადაროთ იმ ქვის მოძრაობას, რომელზეც მიბმულია თოკის ერთი წვერი. თუ თოკის მეორე წვერს ხელში დავიჭერთ, შეგვეძლება ვაიძულოთ დავატრიალოთ, რომ ქვამ წრეზე იბრუნოს. რადგან, ამასთან, ჩვენ ყოველთვის გადავხრით ქვას პირდაპირი გზიდან და ვაიძულებთ გაამრუდოს თავისი მოძრაობის მიმართულება, თოკი ყოველთვის დაჭიმული იქნება. მისი დაჭიმულობის ძალა დამოკიდებულია ქვის მოძრაობის სიჩქარეზე, და მოძრაობის სიჩქარის მომატებასთან ერთად დაჭიმულობაც გაიზრდება.

თანამგზავრის მოძრაობისას თოკის როლს ასრულებს დედამიწის მიზიდულობის ძალა. მაგრამ არის არსებითი განსხვავება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანამგზავრზე მოქმედი მიზიდულობის ძალა წარმოადგენს სავსებით განსაზღვრულ სიდიდეს. ამიტომ დედამიწის გარშემო თანამგზავრის წრიული მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ერთგვარი სავსებით განსაზღვრული სიჩქარით. თანამგზავრისათვის, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან შედარებით ახლოს მოძრაობს, ეს სიჩქარე წამში დაახლოებით 8 კილომეტრს უდრის.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: ეს სიჩქარე ერთნაირი რატომ არის ყოველგვარი წონის სხეულებისათვის? მიზიდულობის ძალა, რომელიც უფრო მძიმე სხეულზე მოქმედებს, ხომ უფრო მეტია, და ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ასეთი სხეული დედამიწის გარშემო წრიულ ორბიტზე მიზიდულობის ძალის მოქმედებით მეტი სიჩქარით უნდა მოძრაობდეს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უფრო მძიმე სხეულის სწორხაზოვანი მოძრაობიდან აცდენა უფრო ძნელია, ამასთან, სწორედ იმდენჯერ, რამდენჯერაც მეტია მისი წონა, ნათელი გახდება, რომ თანამგზავრის მოძრაობის სიჩქარე დამოკიდებული არ უნდა იყოს მის წონაზე. ამიტომ ორბიტის გარშემო თანამგზავრის მოძრაობის სიჩქარე, როგორიც აქვს პირველ ხელოვნურ თანამგზავრს, დაახლოებით ასევე დარჩება სხვა, უფრო მძიმე თანამგზავრებისთვისაც, რომელთა გაშვება საბჭოთა კავშირში ნავარაუდევია საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწის უფრო მძიმე თანამგზავრთა გაშვებისათვის აუცილებელი იქნება მთელი რიგი დამატებითი სიძნელეების გადალახვა. ამიტომ მათი გაშვება ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

დედამიწის მიზიდულობის ძალა კლებულობს დედამიწიდან მანძილის გადიდებისას. ამიტომ თანამგზავრი უფრო მაღალ ორბიტზე ნაკლები სიჩქარით უნდა მოძრაობდეს. დედამიწის ზედაპირიდან ათასი კილომეტრის ფარგლებში მდებარე სხვადასხვა ორბიტებზე თანამგზავრის მოძრაობისას სიჩქარის განსხვავება შედარებით მცირეა. თუმცა იმ თანამგზავრისათვის, რომელიც დედამიწიდან გაცილებით მეტ მანძილზე მოძრაობს, მოძრაობის სიჩქარე არსებითად ნაკლები აღმოჩნდება. მაგალითად, მთვარე, რომელიც აგრეთვე დედამიწის თანამგზავრია და დედამიწას დაახლოებით 380 ათასი კილომეტრით არის დაშორებული, დედამიწის გარშემო მოძრაობს დაახლოებით წამში ერთი კილომეტრის სიჩქარით, ე. ი. დაახლოებით 8-ჯერ ნაკლები სიჩქარით, ვიდრე თანამგზავრი, რომელიც დედამიწის ახლოს მიჰქრის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გზა, რომელსაც მთვარე დედამიწის გარშემო გადის, უფრო გრძელია, ვიდრე ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის გზა ერთი შემოვლისას, ნათელი გახდება, თუ მთვარე დედამიწის გარშემო რატომ მოძრაობს თანამგზავრთან შედარებით არა 8-ჯერ ნელა, არამედ ბევრად უფრო ნელა. მთვარე ერთ წრეს დაახლოებით ერთ თვეში აკეთებს, მაშინ როდესაც ამჟამად

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ მოწინავე ჩაის მკრეფავი გ. ციკოლია. იგი ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს, რაც ორ-ორნახევარ ნორმას უდრის.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

მოძრავი თანამგზავრი დაახლოებით 15 წრეს უვლის დღე-ღამეში.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაგზავნა საჭირო იყო მისი დიდ სიმაღლეზე აყვანა და ისეთი სიჩქარით გაქანება, რომელიც აუცილებელია ამ სიმაღლეზე ორბიტით მოძრაობისათვის. თანამგზავრის ორბიტზე გაყვანა უაღრესად რთული ამოცანაა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა მხოლოდ რაკეტმშენებლობის მაღალი დონის წყალობით საბჭოთა კავშირში.

ორბიტზე თანამგზავრის მოძრაობა წარმოებს მოძრაობის დროს ენერგიის დაუხარჯველად. თანამგზავრზე არ არის ძრავა. იგი მხოლოდ იმ სიჩქარის ხარჯზე მოძრაობს, რომელიც მას გადასცა მატარებელმა რაკეტმა.

რადგან უფრო მაღალ წრიულ ორბიტზე თანამგზავრის მოძრაობის სიჩქარე ნაკლებია,



ამიტომ ასეთ ორბიტზე თანამგზავრის გაყვანისას საჭიროა მისი გაქანება ნაკლები სიჩქარით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თანამგზავრის გაშვება უფრო მაღალ წრიულ ორბიტზე შედარებით მარტივი იყოს, ვიდრე უფრო დაბალ ორბიტზე გაშვება. საქმე ის არის, რომ თანამგზავრის გაშვებისას სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია თანამგზავრის დიდ სიმაღლეზე აყვანასთან, უაღრესად არსებითი აღმოჩნდება ხოლმე და სიმაღლის მომატებისას მნიშვნელოვნად იზრდება.

რაკეტისაგან თანამგზავრის ჩამოშორება მოხდა მას შემდეგ, რაც მიღწეული იყო ისეთი სიჩქარე, რომელიც აუცილებელია თანამგზავრის მოძრაობისათვის. რაკეტისაგან თანამგზავრის ჩამოშორების სიჩქარე მეტად მცირეა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ რაკეტის კორპუსი, რომელსაც თანამგზავრის ჩამოცილების შემდეგ მოძრაობის თითქმის ისეთივე სიჩქარე აქვს, როგორიც თანამგზავრს, მოძრაობას განაგრძობს ორბიტით, რომელიც ახლოა თანამგზავრის ორბიტთან.

4 ოქტომბერს გაშვებული თანამგზავრი მხოლოდ პირველი ნაბიჯია საპლანეტთაშორისო სივრცის ათვისების გზაზე. დედამიწის მახლობელი სივრცის გამოსაკვლევად შემდეგში, უეჭველია, გაშვებულ იქნება თანამგზავრები, რომლებიც დედამიწიდან სხვადასხვა სიმაღლეებზე, კერძოდ 1.000 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე იმოძრავებენ. ამ ამოცანის გადაწყვეტა სავსებით ძალუძს თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყოველ სიმაღლეზე თანამგზავრის წრიულ ორბიტზე მოძრაობა უნდა მიმდინარეობდეს ერთგვარი, სავსებით განსაზღვრული სიჩქარით. თუ თანამგზავრის სიჩქარე საჭიროზე ნაკლებია, მაშინ დედამიწის მიზიდულობისათვის უფრო ადვილი იქნება აიცდინოს იგი სწორხაზოვან მოძრაობას. თანამგზავრის ტრაექტორია გარუდდება დედამიწის მიმართულებით და თანამგზავრი დაშვებას დაიწყებს. ხოლო თუ სიჩქარე საჭიროზე მხოლოდ ოდნავ ნაკლებია, თანამგზავრის დაშვება შედარებით ნელი იქნება, და იგი, მიუახლოვდება რა დედამიწას და ამასთან ერთგვარად მოიმატებს სიჩქარეს, შეძლებს კვლავ ავიდეს უწინდელ სიმაღლეზე, და ასეთი დაშვება და ასვლა პერიოდულად განმეორდეს ყოველ წრეზე.

თუ მოძრაობის სიჩქარე წრიულთან შედარებით რამდენადმე მეტი იქნა, თანამგზავრის დაშვება შეიძლება მეტად ძლიერი აღმოჩნდეს. თანამგზავრი ატმოსფეროს მკვრივ ფენებში შევა, ჰაერთან ხახუნის გამო დაკარგავს თავის ენერგიას, ვეღარ შეძლებს სიმაღლის აღებას, თანდათანობით ძირს დაშვებით გავარვარდება და ატმოსფეროში დაიწვის.

ამრიგად, იმისათვის, რომ თანამგზავრს შეეძლოს მოკვემულ სიმაღლეზე ორბიტით მოძრაობა, მისი სიჩქარე სავსებით განსაზღვრული უნდა იყოს. ისეთი თანამგზავრის შექმნა, რომელიც ამავე ორბიტით, მაგრამ სხვა სიჩქარით იმოძრავებს, შეუძლებელია.

თუ მატარებელი რაკეტისაგან თანამგზავრის ჩამოშორების მომენტში თანამგზავრის სიჩქარე აღემატება იმ სიჩქარეს, რომელიც საჭიროა, ამ სიმაღლეზე წრიული მოძრაობისათვის, მაშინ დედამიწის მიზიდულობის ძალას უფრო გაუძნელდება შეუცვალოს გზა თანამგზავრს და მოაახლოოს იგი დედამიწის ზედაპირისაკენ.

ასე დაემართა ჩვენს თანამგზავრსაც. წინასწარი გაანგარიშების შესაბამისად თანამგზავრს მიეცა ისეთი სიჩქარე, რომ მას მატარებელი რაკეტისაგან ჩამოშორების მომენტში ჰქონდა წრიულზე მეტი სიჩქარე, ამიტომაც შეძლო სიმაღლის აღება და ელიფსური ტრაექტორიით მოძრაობა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ორბიტის პერიგეა (დედამიწის ზედაპირიდან უმცირესი დაშორების წერტილი) იმყოფება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ხოლო აპოგეა (ორბიტის უმაღლესი წერტილი) — სამხრეთ ნახევარსფეროში.

თუ თანამგზავრის სიჩქარე რაკეტისაგან მისი ჩამოცილების მომენტში მნიშვნელოვნად მეტია წრიულ სიჩქარეზე, მაშინ თანამგზავრს შეუძლია ავიდეს ძალიან დიდ სიმაღლეზე, გაცილებით უფრო მეტზე, ვიდრე ის სიმაღლეა, რომელზეც იგი რაკეტის მიერ თავდაპირველად იყო გაყვანილი. თუ რაკეტისაგან ჩამოშორებისას სიჩქარე იქნება წამში 11,2 კილომეტრი ან მეტი, თანამგზავრი საპლანეტთაშორისო სივრცეში წავა.

წამში 8 კილომეტრ სიჩქარეს ეწოდება პირველი კოსმოსური სიჩქარე და იგი აუცილებელია იმ თანამგზავრის შესაქმნელად, რომელიც დედამიწასთან ახლო ორბიტით მოძრაობს. წამში 11,2 კილომეტრის სიჩქარეს ეწოდება მეორე კოსმოსური სიჩქარე და აუცილებელია იმისათვის, რათა დედამიწის ახლოს გაშვებულმა საპლანეტთაშორისო ხომალდმა შეძლოს დედამიწის მიზიდულობის გადალახვა და მზის სისტემის ახალი პლანეტის სახით მოძრაობა დაიწყოს საპლანეტთაშორისო სივრცეში. ამ სიჩქარეთა მიღწევა, რომელთა სიდიდეც მდებარეობს პირველ და მეორე კოსმოსურ სიჩქარეთა შორის, საშუალებას გვაძლევს გავუშვათ თანამგზავრი, რომელიც ელიფსური ორბიტებით იმოძრავებს. როდესაც პერიგეა დედამიწასთან ახლოს იქნება, ხოლო აპოგეა — მისგან საკმაოდ დიდ მანძილზე. ამასთან ორბიტები მით უფრო წაგრძელებული და დედამიწიდან მოშორებული იქნებიან, რაც უფრო დიდი იქნება დაწყებითი სიჩქარე, რომელსაც თანამგზავრს მატარებელი რაკეტი გადასცემს.

საბჭოთა კავშირში გაშვებული ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობა დიდ სიმაღლეზე წარმოებს, ეს სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან უმაღლესი დაშორების მომენტში 900 კილომეტრს აღწევს. დედამიწის ზედაპირთან თანამგზავრის უმეტესი მოახლოების მომენტში მისი სიმაღლე ნაკლებია. თუმცა ჰაერის სიმკვრივე რამდენიმე ასეული კილომეტრის სიმაღლეზე მეტად უმნიშვნელოა დედამიწის ზედაპირთან არსებულ სიმკვრივესთან შედარებით, თანამგზავრის მოძრაობის უდიდესი სიჩქარისას ატმოსფეროს წინააღმდეგობა მის მოძრაობაზე მაინც მოქმედებს. ატმოსფეროს წინააღმდეგობისა და ენერგიის დაკარგვის შედეგად ორბიტის აპოგეის სიმაღლე თანდათანობით შემცირდება. დედამიწის გარშემო თანამგზავრის შემოვლის პერიოდი კლებულობს. 12 ოქტომბერს იგი 95 წუთსა და 57 წამს უდრიდა. პერიოდის შემცირება დიდი არ არის და, გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დღეღამეში 3 წამს შეადგენს.

პერიოდის ნელი შემცირება იმას ნიშნავს, რომ თანამგზავრი დედამიწის გარშემო საკმაოდ ხანგრძლივად იმოძრავებს. მაგრამ განსაზღვრული დროის შემდეგ იგი ისე დაბლა დაეშვება, რომ უფრო მკვრივ ატმოსფერულ ფენებში ხახუნით ძლიერ გავარვარდება და დაიწვის.

დიდ სიმაღლეებზე ატმოსფეროს სიმკვრივე ამჟამად საკმაოდ ზუსტად არ არის ცნობილი. პირველი ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის ანალიზი საშუალებას მოგვცემს არსებითად დავაზუსტოთ ჩვენი ცნობები ზედა ატმოსფეროს სიმკვრივის შესახებ. მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვცემენ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ იმ თანამგზავრთა არსებობის დრო, რომლებიც შემდეგში სხვადასხვა სიმაღლეზე იქნება გაშვებული.

ამასთან უკვე არსებული ცნობები ზედა ატმოსფეროს სიმკვრივის შესახებ შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ რაკეტმშენებლობის თანამედროვე დონისას სავსებით რეალურია ლაპარაკი იმ თანამ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი იუგოსლავიაში

ლიუბლიანა, 12 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით იუგოსლავიაში მყოფი სსრ კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი განაგრძობს მოგზაურობას. დილით მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ქალაქ რიეკაში დაათვალიერეს იუგოსლავიის უდიდესი გემთსაშენი ვერფი „3 მაისი“.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი დაწვრილებით გაეცნო ვერფის ცალკეულ საამქროებს, დაინტერესდა, როგორ ამარაგებენ ვერფს საჭირო მასალებით, როგორია წარმოების ორგანობა, მუშათა ხელფასი. ყველა კითხვაზე პასუხი გასცა ვერფის დირექტორმა ი. ვუკასოვიჩმა.

შეტად გულთბილად შეხვდნენ გ. კ. ჟუკოვს გემთმშენებლები. ესაუბრა რა მუშებს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა სალამი გადასცა მათ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისაგან, მთელი საბჭოთა ხალხისაგან. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, თქვა ამხ. გ. კ. ჟუკოვმა, მეგობრობის გულწრფელი გრძნობით არიან გამსჭვალულნი იუგოსლავიის ხალხისადმი და დიდ წარმატებებს უსურვებენ მას სოციალიზმის მშენებლობაში. პასუხად გაისმა „ხვალა, ხვალა!“ (—გმადლობთ, გმადლობთ“!). მუშებმა სთხოვეს გ. კ. ჟუკოვს უადრესად გულთბილი სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცეს სსრ კავშირის მუშათა კლასს. ერთ-ერთი მუშა ამბობს: „მოგიღოცავთ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდას. ეს დიდი გამარჯვებაა“.

ვერფის საპატიო სტუმრების წიგნში მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა შემდეგი ჩაწერა: „სულით და გულით ვუსურვებთ ჩვენს მოძმე იუგოსლავ ხალხს კარგ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!“

ვერფის დათვალიერების შემდეგ მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ იუგოსლავიის სახალხო არმიის საარტილერიო ნაწილის საბრძოლო სროლას.

ლიუბლიანაში მიმავალ სტუმრებს გზაში უჩვენეს ცნობილი სტალაქტიტის გამოქვაბული პოსტოინსკა იამა.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები დღის ბოლოს ჩამოვიდნენ სლოვენიის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ლიუბლიანაში. აქ სტუმრებს შეხვდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივანი არმიის გენერალი ი. გოშნიაკი, სლოვენიის აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე ბ. კრაიგერი და იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრი ი. მაჩეკი.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია

დელი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ ეიჯი“ აქვეყნებს რეზოლუციის ტექსტს, რომელიც ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების გამო სსრ კავშირში.

რეზოლუციაში ნათქვამია: „დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი შექმნა და საპლანეტთაშორისო სივრცეში გაუშვა საბჭოთა კავშირმა. აღტაცებას იწვევს რა ყველა ქვეყნის ადამიანებში, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ახლა ბრუნავს დედამიწის გარშემო. ეს კაცობრობის პირველი გამარჯვებაა საპლანეტთაშორისო სივრცის დაპყრობის გზაზე.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად გულთბილ მისალმებას უძღვნის საბჭოთა კავშირის ნიჭიერ მეცნიერებს და მის დიდ ხალხს ამ უბადლო ისტორიული მიღწევის გამო. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს შესანიშნავი მიღწევა კვლავ ცხადყოფს უდიდეს შემოქმედებითს ძალას, რომელიც გაათავისუფლა სოციალისტურმა სისტემამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და რომლის მიღწევებმა ყველა რეკორდს გადააჭარბა.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით იწყება ახალი ერა, რომელშიც ახლანდელი თაობა უნდა მოელოდეს კოლოსალურ წარმატებებს ადამიანის განუწყვეტელ ბრძოლაში ბუნების ძალების დაუფლებისათვის. საბჭოთა მეცნიერების სასწაული ფასდაუდებელი წვლილია მსოფლიო მეცნიერებისა და ადამიანის შემეცნების საგანძურში. იგი გვიჩვენებს, რა უდიდეს წარმატებებს შეუძლია მიაღწიოს კაცობრიობამ, თუ ხალხის შემოქმედებითი ძალები განთავისუფლებულია ყოველგვარი ბორკილისაგან და ამ ძალებს კოლექტიურად იყენებენ ქვეყნებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის საფუძველზე“.

გაზეთში გამოქვეყნებულია აგრეთვე ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მილოცვის დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. დეპეშაში ნათქვამია: ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს საბჭოთა მეცნიერებს, ხალხსა და პარტიას ისტორიულ მიღწევას — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვებას. ეს მიღწევა დიდი წვლილია მსოფლიო მეცნიერებაში და დიდი წარმატებაა ადამიანის მიერ საპლანეტთაშორისო სივრცის დაპყრობის გზაზე. იგი გვიჩვენებს მეცნიერების შემოქმედებითს შესაძლებლობებს სოციალისტური სისტემის პირობებში.

საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). უკანასკნელ რამდენიმე დღეში, როგორც პრესა იუწყება, ალჟირში მოხდა საფრანგეთის ჯარებისა და ალჟირის ეროვნული განთავისუფლების არმიის რაზმების მთელი რიგი დიდი შეიარაღებული შეტაკება.

გაზეთებს მოჰყავთ მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ სასტიკად სდევნიან და რეპრესიებს მიმართავენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. გუშინ ალჟირის საქალაქო საპყრობილეში სიკვდილით დასჯეს კიდევ სამი ალჟირელი პატრიოტი. ქალაქ ალჟირის ახლოს საფრანგეთის ჯარებმა განახორციელეს „კონტროლის“ ოპერაცია, რომლის მსვლელობაში მოკლეს 12 ალჟირელი მოქალაქე. სხვა ჩხრეკის დროს ორლეანვილის რაიონში დაპატიმრეს 300 კაცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩინეთში

ლიუდა (პორტ-არტური-დალნი). 12 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ, რომელიც ლიუდაში (პორტ-არტურ-დალნის რაიონის შემოკლებული ჩინური სახელწოდება) ჩამოვიდა, დაათვალიერა ლიუშუნკოუში (პორტ-არტური) 1918 წლიდან არსებული ადგილობრივი ისტორიული მუზეუმი და მის წინ აღმართული ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ძეგლი — თეთრი მარმარილოს ობელისკი. დელეგაცია იყო აგრეთვე სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში.

შემდეგ დელეგაცია გაემართა გამარჯვების ძეგლისაკენ, რომელიც აგებულია 1945 წელს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ ჩინელი ხალხის შეიარაღებულ ნაწილებთან ერთად ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის იაპონელ დამპყრობთაგან განთავისუფლების აღსანიშნავად.

დღისით საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციას შეუერთდა და თან ახლდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პინ ჯენი.

დელეგაციამ დათვალიერა რუსეთ-იაპონიის ომში გმირი რუსი ჯარისკაცების — პორტ-არტურის დამცველთა ბრძოლებისა და დაღუპვის ადგილები. რუსეთ-იაპონიის ომში დაღუპულთა და 1945 წელს საბჭოთა და ჩინეთის ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა საფლავი დელეგაციამ შეამკო გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „სამარადისო დიდება რუსეთის გმირ შვილებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია“.

დღის ბოლოს დელეგაცია ესტუმრა ლიუშუნკოუს ბაზის სამხედრო მეზღვაურებს. ბაზის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ვიცე-ადმირალ პენ ლინის თანხლებით საბჭოთა სტუმრები ავიდნენ საესკადრო ნაღმოსან „ჩანჩუნზე“. დელეგაციის სახელით სამხედრო მეზღვაურებს მიესალმა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ამხანაგი ა. ბ. არისტოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, თქვა მან, თქვენი სახით მიესალმება დიდი ჩინეთის საზღვაო საზღვრების სახელოვან დამცველებს და გისურვებთ დიდ წარმატებებს საბრძოლო და ტექნიკურ მომზადებაში. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვაო საზღვრებს საიმედო დამცველი ჰყავს.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას — დიდ საზღვაო სახელმწიფოს! გაუმარჯოს მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს! გაუმარჯოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

უპასუხა რა სტუმრებს, ადმირალმა პენ ლინმა განაცხადა:

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მტკიცე მეგობრობაა, რასაც განსაკუთრებით გრძნობენ ჩვენი მეზღვაურები. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ საბჭოთა არმია დაგვეხმარა პორტ-არტურის განთავისუფლებაში, არ დავივიწყებთ საბჭოთა სპეციალისტების დახმარებას. ჩვენ ვამაყობთ დიდი და ძლიერი საბჭოთა კავშირით. იგი აღგვაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში. მთელ სოციალისტურ ბანაკთან ერთად, საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ჩვენ ვიბრძვით მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

სტუმრებმა დაათვალიერეს სამხედრო ხომალდი. დღის 5 საათზე საესკადრო ნაღმოსანი, რომელზეც საბჭოთა დელეგაციის წევრები იყვნენ, ზღვაში გავიდა. სანაპიროზე ისინი გააცილეს სამხედრო მეზღვაურებმა, რომლებიც სიმღერით, ქუდების ქნევით ემშვიდობებიან მიმავალ ხომალდს.

საღამო ხანს საესკადრო ნაღმოსანი ჩავიდა ნავსადგურ დალიანში (დალნი). დელეგაციის წევრები გულთბილად გამოეთხოვნენ სამხედრო ხომალდის ეკიპაჟს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა დ. ვაშინგტონმა და კუბისა და ჩილის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მას, კვლავ ცხადყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის მოწინააღმდეგეთა ნამდვილი სახე. ამერიკის წარმომადგენელმა გაილაშქრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ქვეყნების მიღების წინააღმდეგ, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება შეერთებულ შტატებს არ მოსწონთ. იგი ამავე დროს იბრძოდა სამხრეთ კორეაში ლი სინ მანისა და სამხრეთ ვიეტნამში ნგო დინ დიემის მარionეტული რეჟიმებისათვის.

სსრ კავშირის დელეგატმა ა. ა. სობოლევმა წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც ამხილა იმათი ნამდვილი მიზნები, ვინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ა. ა. სობოლევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხში ზოგიერთი სახელმწიფო, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, დაჟინებით განაგრძობს დისკრიმინაციის პოლიტიკას მთელი რიგი ქვეყნების მიმართ მათი შინაური სოციალურ-პოლიტიკური წყობილების მიზეზით.

ყველაზე მოურიდებლი გამოვლინება დისკრიმინაციის პოლიტიკისა, რომელიც დიდი ხანია დაგმობილი და შეუწყნარებელია, თქვა ა. ა. სობოლევმა, არის დამოკიდებულება განცხადებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ, რომელიც 10 წელიწადზე მეტი ხნის წინათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ შეიტანა.

შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების პოზიციის შედეგად ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება უშიშროების საბჭოში კვლავ ჩაიფუშა. საგულისხმოა, რომ ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აშკარად შეუერთა თავისი უარყოფითი ხმა თავის მიმდევართა ხმებს ამ მეტად არასახარბიელო საქმეში. სსრ კავშირის წარმომადგენელმა კონკრეტული ფაქტებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უარყოფითი პოზიციის მიზეზი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განცხადების განხილვისას სხვა არა არის რა, თუ არა შეერთებული შტატების მმართველი წრეების მისწრაფება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წარმართონ ახალი წევრების მიღების საკითხების ცალმხრივი, დისკრიმინაციული გადაჭრის გზით და ამით დაიბრკოლონ სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების თანამშრომლობის მოწესრიგება.

ა. ა. სობოლევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციისა და პატარა ხალხებისადმი კოლონიზატორული უგულებელყოფის პოლიტიკა ძირეულად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებასა და ფორმას და იმის ღირსია, რომ უაღრესად მტკიცედ დაგმოს გენერალური ასამბლეის ყველა წევრმა, რომლებიც დაინტერესებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებით.

მან იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხი ბოლოს გადაიჭრება და დაუყოვნებლივ გადაიჭრება.

შემდეგ, გადავიდა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეისა და ვიეტნამის მიღების საკითხზე, ა. ა. სობოლევმა განაცხადა, რომ ჩიხი, რომელშიც ჯერ კიდევ იმყოფება ამ საკითხის გადაჭრა, უშუალო შედეგია შეერთებული შტატების იმავე მტრული პოლიტიკისა სოციალისტური წყობილების მქონე ქვეყნების მიმართ. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, თქვა ა. ა. სობოლევმა, შეერთებული შტატები კვლავ ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიაღებინონ კორეისა და ვიეტნამის მხოლოდ სამხრეთი ნაწილები ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნული ინტერესების საზიანოდ.

ამ პოლიტიკის გაკოტრება, რასაც შეერთებული შტატები დაჟინებით აბეზეურ თავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა გენერალური ასამბლეის X სესიის დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდმა უმრავლესობამ სავსებით გარკვეულად აღნიშნა, რომ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც გაყოფილ მდგომარეობაში არიან, უწინარეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას მათი მშვიდობიანი გაერთიანების პრობლემა და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამრიგად გაერთიანებული ქვეყნების მიღება საკითხის საუკეთესო გადაჭრა იქნება.

ამბების მსვლელობა კი ცხადყოფს, რომ შეერთებული შტატების ღონისძიებანი მიმართული იყო საწინააღმდეგო მხრისაკენ და მიზნად ისახავდნენ ამ ქვეყნების გაყოფის განმტკიცებას იმ გზით, რომ სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის მმართველ წრეებს აქეზებდნენ საბოტაჟი გაეწიათ იმ წინადადებებისათვის, რომელთა მიზანია ამ ქვეყნების გაერთიანება.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები გამსჭვალული არიან მისწრაფებით გზა გაუკაფონ მათი ქვეყნების მშვიდობიან გაერთიანებას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეელი და ვიეტნამელი ხალხებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელება ახლა დამოკიდებულია მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებზე.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, განაცხადა დასასრულ ა. ა. სობოლევმა, რომ დროა ბოლო მოეღოს დისკრიმინაციის პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხში, აგრეთვე სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის მიღების საკითხთან მოურიდებელ სპეკულაციას ამ ქვეყნების ხალხთა ნამდვილი ინტერესების საზიანოდ.

მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უსწრაფესი მიღების უზრუნველყოფით და კორეისა და ვიეტნამის შშვიდობიანი გაერთიანებისათვის მთელ ღონისძიებათა წარმართვით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეასრულებს თავის მოვალეობას აზიის ამ ქვეყნების მიმართ და ამრიგად თავის წვლილს შეიტანს ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

თათბირი პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, დედამიწის საბჭოთა თანამგზავრის წარმატებით გაშვებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში არ მალენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩნენ სსრ კავშირს ამ დარგში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სასწრაფო წესით მოიწვია თათბირი თავის მთავარ სამხედრო, მეცნიერ და დიპლომატიურ მრჩევლებთან, რათა სპეციალურად განეხილათ საკითხი სარაკეტო ტექნიკის დარგში სსრ კავშირისაგან ამერიკის შეერთებული შტატების ჩამორჩენის შესახებ. თათბირს, იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, დესწრნენ ყველა ის დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამართავი იუმბარების შექმნისა და „საპლანეტთაშორისო სივრცის დაპყრობის“ სამუშაოებთან.

დღეს, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ეიზენჰაუერმა საანგარიშო მოხსენებისათვის გამოიწვია თავდაცვის მინისტრი მაკელროი და თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ჰოლდეი, რომელიც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამართავი იუმბარების შექმნის სამუშაოებს.

გაიხსნა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ სპარტაკიადა

ბაქო, 13 ოქტომბერი. (ტელეფონით). შემთხვევითი როდია, რომ სპორტის მოყვარულები ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპარტაკიადიადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ეს უთუოდ გამოწვეულია იმით, რომ ასპარეზობაში პირველობას ერთმანეთს ეცილებიან სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები, რეკორდსმენები, მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

სპორტსმენთა მსვლელობა

მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის გახსნას წინ უძღოდა ფესტივალის მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ათეულ ათასობით ახალგაზრდის მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში. ასეთი მსვლელობა ბაქოს ქუჩებში, თუმცა მასშტაბით ბევრად უფრო მცირე, უძღოდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის სპარტაკიადასაც.

ლამაზად მორთული ავტოკოლონები რესპუბლიკების მიხედვით მთავრობის სახახლის წინ დაეწყო. აქ თავი მოეყარათ ბაქოს მშრომელებს, რომლებიც სასურველ სტუმრებს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. აქედან ასამდე ავტომანქანა, რომლებშიც ისხდნენ სპარტაკიადის მონაწილე სპორტსმენები, გაემართა ქალაქის ცენტრალური ქუჩებით სტალინის სახელობის სტადიონისაკენ.

საზეიმო ცერემონიალი სტადიონზე

ნაშუადღევის 3 საათია. მოედანზე გამოჩნდა მედროშეთა დიდი კოლონა. სტადიონის ყოველი ტრიბუნიდან მოწყდა ერთსულოვანი ტაში. ოვაცია სპორტსმენთა მისამართით, მოძმე ხალხთა პატივსაცემად დიდხანს არ ცხრება. პირველად შემოდის საქართველოს დელეგაცია, რომელსაც წინ მიუძღვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ბოჭორიძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი მოაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებს გ. კარტოზიას, კ. ებრალიძეს, ნ. გვახარიას. მაღლა ფრიალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა. იგი მოაქვს ცნობილ ძალოსანს ი. ქართველიშვილს, რომელსაც გვერდით მიჰყვებიან მ. ჯუღელი და გ. შარაბიძე. საქართველოს სპორტსმენებს მოაქვთ აგრეთვე დიდი წარწერა — „ძმური სალამი აზერბაიჯანელ მშრომელებს!“ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას მიჰყვა სომხეთის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლონები, მსაჯთა დიდი ჯგუფი.

სპორტსმენები ცენტრალური ტრიბუნის წინ განლაგდნენ. ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მიესალმა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. რაგიმოვი. მან წარმატება უსურვა სპორტსმენებს მომავალ ასპარეზობაში და ილაპარაკა იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც იჩენენ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობისათვის, საბჭოთა სპორტის აღმავლობისათვის. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა აგრეთვე საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კრივცოვი.

აქმენ ოლიმპიადის [illegible] ... რესპუბლიკებიდან [illegible] ... საქართველოდან მათ რიგებში იყვნენ ნ. დუმბაძე და ზ. მაჩხანელი. ეღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

ფეხბურთი, ამანათრბენი

საკავშირო კატეგორიის მსაჯის არხიპოვის სასტვენის ხმამ ფეხბურთის მატჩის დაწყება გვაუწყა. მოედანზე ვხედავთ ორი რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს — საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდებს.

თანდათანობით იჩინა თავი საქართველოს ფეხბურთელთა უპირატესობამ. მე-20 წუთზე მათ ანგარიში გახსნეს. ბურთი გაიტანა სიხარულიძემ. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა. შეჯიბრების მეორე ნახევარში ტემპიანი ბრძოლა არ დამცხრალა. საქართველოს ფეხბურთელებმა მეორე ბურთი გაიტანეს და მოიგეს პირველი მატჩი ანგარიშით 2:0.

ფეხბურთელთა შესვენების დროს მოეწყო ამანათრბენი ქალთა და ვაჟთაოთვის 4×100 მეტრზე. ქალთა შორის გაიმარჯვა აზერბაიჯანის გუნდმა. დრო — 49,1 წამი. მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს საქართველოსა და მოლდავეთის გუნდებმა. აზერბაიჯანელებმა პირველი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ვაჟთა ამანათრბენში. საქართველოს გუნდი წესის დარღვევისათვის მოიხსნა.

დღეს გაიმართა აგრეთვე შეჯიბრებები ცხენოსნობაში და ტყვიის სროლაში.

ცხენოსნობაში მცირე პრიზის მთავარი პრეტენდენტია საქართველოს გუნდი. პირად ჩათვლაში ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ერისთავს.

ტადროს ტყორცნაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ოვსეპიანმა.

* * *

საერთო გუნდური პირველი ადგილი დღის შედეგების მიხედვით (მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ჩოგბურთი, ცხენოსნობა)

უკავია სომხეთს, მეორე და მესამე ადგილებს იყოფენ საქართველო და აზერბაიჯანი, მეოთხე ადგილზეა მოლდავეთი.

ხვალ გაიმართება შეჯიბრება სპორტის 16 სახეობაში.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: სპარტაკიადის გახსნა. სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი (ზევით); სპარტაკიადის აღმის აღმართვა ბაქოს ი. ბ. სტალინის სახელობის სტადიონზე.

საიუბილეო სამეცნიერო სესია

15 ოქტომბერს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აწყობს საიუბილეო სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები თემებზე: ი. ჭავჭავაძე — ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი (მომხსენებელი დოცენტი დ. გამეზარდაშვილი), ი. ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები (მომხსენებელი პროფესორი ალ. ბარამიძე), ი. ჭავჭავაძის მხატვრული სტილის საკითხები (მომხსენებელი დოცენტი ა. კენჭოშვილი), ი. ჭავჭავაძე როგორც მხატვარი (მომხსენებელი დოცენტი გ. აბზიანიძე), ი. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი (მომხსენებელი პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი), ი. ჭავჭავაძის ლირიკის მხატვრული თავისებურებანი (მომხსენებელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ხინთიბიძე), ი. ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ (მომხსენებელი დოც. ა. გაჩეჩილაძე).

გ. ბ. ბოჭორიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტმა გ. ბ. ბოჭორიშვილმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ექსპერიმენტული მასალები ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების ფუნქციური და ორგანული დაზიანების დროს ძვლის ქსოვილის რეგენერაციის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ბ. ბოჭორიშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 15 ოქტომბერს
ა. კერესელიძე
სამი პატარძალი

ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს
ზ. აზმაიფარაშვილი
რაც ზინაახავს, ველარ ნახავ

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს
დ. არაყიშვილი
დინარა

წარმოდგენების დასაწყისი დღისით — 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად

სამშაბათს, 15 და ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს
ი. ჭავჭავაძე
გლახის ნაამბობი
დრამა 4 მოქმედებად, 9 სურათად. (გასაენიერებელი გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას მიერ).
დადგმა დ. ალექსიძისა, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ალ. მაჭავარიანი. წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** შემდეგ განყოფილებათა გამგეების თანამდებობებზე: ადგილობრივი ენერგორესურსების გამოყენებისა და ბიოენერგეტიკის; ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების; ელექტროდანადგარების ექსპლოატაციისა და რემონტის; სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის გამოყენების სპეციალური სახეების.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (2 ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომი, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების ნოტარიული წესით შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათზე.

კონკურსის ვადაა ორი კვირა ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ბრძოლის ქ. № 54.

ტელეგადაცემათა პროგრამა
15 ოქტომბრისათვის

19.50 — ტრანსლაცია სპექტაკლისა „ხეები ზეზეულად კვდებიან“ (საცდელი გადმოცემა მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან). — პირველ ანტრაქტში — კინოჟურნალი „ახალი ამბები“ № 38. — მეორე ანტრაქტში — „მუსიკალური შესვენება“.

მოქალაქე **ვიქტორ ვიქტორის-ძე კოშტოევმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 124, აღძრა საქმე ქ. რუსთავში, ქარხნის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **ფაინა იოსების ასულ კოშტოევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს გან